ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2020 წლის იანვრიდან დღემდე

კომისიის შემადგენლობაში არის 8 დეპუტატი:

1. ოთარ ლურსმანაშვილი
2. ზურაბ ხაჩიძე
3. ბესო ტალახაძე
4. ირაკლი ფერაძე
5. ინგა მაღრაძე
6. დავით მაღლაფერიძე
7. პავლე კიკალიშვილი
8. გივი ხიჯაკაძე

კომისია თავისი უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის ,, ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულების“ შესაბამისად.

კომისია სხდომებზე განიხილავდა სამოქმედო გეგმის და საკრებულოს მუშაობის პროცესში წარმოშობილ დამატებით საკითხებს. შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფდა საკრებულოში პროცედურული ნორმების დაცვას. ასევე პასუხისმგებას იღებდა და იღებს საკრებულოს სამართებრივი აქტების კანონშესაბამისობაზე.

კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 20 კომისიის სხდომა აქედან 12 მორიგი და 8 კი რიგგარეშე სხდომები. მოახდინა 2020 წლებში ჩატარებული საკრებულოს სხდომების კენჭისყრის შედეგების შეჯამება.

კომისიას უმეტეს შემთხვევაში საკითხების გახილვა უწევდა რიგგარეშე სხდომებზე და მცირე დროში, რაც გამოწვეული იყო საკრებულოს სხდომების ინტენსვობით და აქტიური მუშაობით.

კომისია აქტიურად იყო ჩართული 2020 და 2021 წლის ბიუჯეტის პროექტების განხილვაში და დამტკიცებაში , საფინანსო საბიუჯეტო კომისიასთან ერთად შევიმუშავეთ საბიუჯეტო შენიშვნები და მივმართეთ მერიას.

კომისიამ იმუშავა გამოესწორებინა ის ხარვეზები რომელიც სახელმწიფო აუდიტის მიერ იქნა გამოვლენილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიმართ.
საკრებულო თავმჯდომარესთან, საკრებულოს კომისიებთან და საკრებულოს აპარატთან და ერთად.

2020 წელს განვიხილეთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამსხურის ანგარიშები (ადმინისტრაციის სამსახურის, აუდიტისა და შიდა მონიტორინგის სამსახურუის და სამხედრო აღრიცხვის სამსახურის) შესაბამისი დასკვნები წარვუდგინეთ საკრებულოს.

კომისიამ განიხილა საკითხები, რომელიც ეხებოდა მერიის სამსახურის სხვადასხვა განკარგულებებსა და წესებში შესულიყო ცვლილებები. გასცა შესაბამისი დასკვნები.

იურიდიულმა კომისიამ განიხილა მერიის მიერ ინიცირებული საკითხი რომელიც ეხებოდა მერიის არქიტეტურისა და ზედამხედველობის სამსახურში ახალი განყოფილების შექმნას. კომისიამ აღნიშნულ საკითხზე გასცა დადებითი დასკვნა და წარუდგინა საკრებულოს.

კომისიამ განიხილა საკითხი რომელიც ეხებოდა სოფელ ღორეშაში სოფლის ცენტრალური გზის სახელდების საკითხს. აღნიშნულ ქუჩას მიენიჭა აფხაზეთი ომის მონაწილის ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენოსანის გელა კაპანაძის სახელი რომელიც სოფელ ღორეშაში ცხოვრობდა.

იურიდიულმა კომისიამ უზრუნველყო ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის არჩევა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. ფარული კენჭისყრით.

კომისია აქტიურად მუშაობდა საკრებულოში შექმნილ დროებით სამუშაო კომისიებთან ასევე აქტიურადაა ჩართული ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მუშაობაში.

აქვე მინდა ავღნიშნო რომ დეპუტატების მხრიდან ადგილი არ ჰქონია ხშირ გაცდენებს და ქვორუმის არ არსებობის გამო სხდომის ჩაშლას, რისთვისაც მადლობას ვუხდი კომისიის ყველა წევრს.

და ბოლოს მადლობას ვუხდი საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს ყველა წევრს და საკრებულოს აპარატს გვერდში დგომისა და ხელშეწყობისთვის.

იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო
საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ოთარ ლურსმანაშვილი**